მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის დაცვის სამართლებრივი რეგულირება

მომხსენებელი თეონა ქობალია

ელ-ფოსტა: teona.kobalia636@ens.tsu.edu.ge გეოგრაფიის დეპარტამენტი,ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. N3

ანოტაცია

მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის მართვის, რეაბილიტაციისა და მდგრადი გამოყენებისთვის, აგრეთვე ევროპის ლანდშაფტური კონვენციის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად გასათვალისწინებელია გარემოს დაცვის ზოგიერთი პრინციპი, რომელთაგან აღსანიშნავია: რისკის შემცირების, მდგრადობის, ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების.

მცხეთის მემკვიდრეობის ძეგლები, რომელიც 1994 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შესული, არასათანადო მართვისა და ქაოტური განაშენიანების გამო, 2009 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილებით, საფრთხის ქვეშ მყოფ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში იქნა შეტანილი.

აღნიშნული ქმედება იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაც მცხეთის ისტორიული ძეგლების ძირითად ნუსხაში დაბრუნებასთან დაკავშირებით მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 2016 წლის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო. ამასთან, განისაზღვრა მთელი რიგი ქმედებებისა, რომელიც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ზოგადსაკაცობრიო განსაკუთრებული ღირებულების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.

ზემოთ ჩმოთვლილი მოთხოვნები სწორედ რომ უნდა დარეგულირდეს საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით და რეგულაციებით, რომელიც განხილულია ნაშრომში, რასაც როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია.